

ტრეიდი
404556805

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერი

შპს “ტრეიდი”ს 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს “ტრეიდი” რეგისტრირებულია “მეწარმეთა შესახებ” კანონის შესაბამისად 2018 წლის 20 აპრილს.

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების №16.

საიდენტიფიკაციო კოდი 404556805.

შპს-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შავი ლითონის ჯართით ვაჭრობა, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე, ასევე იშვიათად გვაქვს სამშენებლო მასალით, კონკრეტულად არამატურიტ და გლინულით ვაჭრობა ადგილობრივ ბაზარზე.

შპს „ტრეიდი“ს დამფუძნებელია გიორგი დევდარიანი (პ/ნ 01017009581

კაპიტალის 100 % წილის მფლობელი და დირექტორი კომპანიის დაფუძნების დღიდან .

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები .

1. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

1.1 წარმოდგენილი 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს , 2016 წლის 8 ივნისის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ „ საქართველოს კანონის შესაბამისად, რასაც წინ უძღვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხელმძღვანელობისთვის ყოველი

მომდევნო საანგარიშო წლის 1 მაისამდე, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის საანგარიშო წლის დასრულებისთანავე, თუმცა არაუგვიანეს მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. შპს „ტრეიდი“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ განსაზღვრული საწარმოთა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმების მიხედვით 2019 წლის ჩათვლით მიეკუთვნებოდა მე-4 კატეგორიის საწარმოს ,2020 წლიდან კი აკმაყოფილებს მესამე კატეგორიის საწარმოს კრიტერიუმებს .

1.2 ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით. ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში, 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. აქვეა თავმოყრილი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წადგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

1.3 ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ეროვნულ ვალუტაში.

მონაცემები ასახულია ერთეულ ლარში, არასრული ლარები (თეთრი) დამრგვალებულია ერთეულ ლარამდე ,საზოგადოდ მიღებული წესის შესაბამისად.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2.1 კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის

საზოგადოდ მიღებულ წესებს და დებულებებს, მის პრინციპებს და სტანდარტებს.

2.2 ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება და აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით, მათი თვითღირებულებით და ამ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინებით.

2.3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო

ვალუტისაგან (ქართული ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები, გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის

მიხედვით.

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 31.12.2020	3,2095	3,2766
კურსი 31.12.2021	3,0976	3,504

2.4 ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა “ორისის” გამოყენებით.

2.5 სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა ხორციელდება დარიცხვის მეთოდით.

3. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

3.1 შპს „ტრეიდი“ს ძირითადი საშუალებები არ აქვს.

4.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

4.1 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში, აიღება შეძენის ფაქტიური თვითღირებულებით.

4.2 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

4.3 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რეალიზაციისას თვითღირებულება საბუღალტრო პროგრამაში განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით.

4.4 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

4.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველ ექვს თვეში .

5.მოთხოვნების აღრიცხვა

5.1 მოთხოვნები მიწოდებიდან, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ნეტო თანხით, ანუ საექვო მოთხოვნების თანხის გამოკლებით.

5.2 სავაჭრო მოთხოვნები შედგება გაყიდული საქონლის გადაუხდელი ღირებულებისაგან ,რომელიც კომპანიამ დარიცხვის მეთოდის მეშვეობით აღიარა შემოსავლად, ასახა საბუღალტრო ჩანაწერებში, თუმცა თანხა ჯერ არ მიუღია.

5.3 მოთხოვნების ნუსხაშია გადახდილი ავანსები,რომელიც ძირითადად წარმოადგენს საქონლის მომწოდებლებისათვის გადახდილ თანხებს .

5.4 ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად ,ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება ,რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აისახება მოგება ზარალში.

5.5 საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ფულად ერთეულში (ლარი), საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

6. ამონაგების აღიარება

6.1 კომპანიის ძირითად საქმიანობას, წარმოადგენს შავი ლითონის ჯართის შეძენა ადგილობრივ ბაზარზე და რეალიზაცია როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე. შავი ლითონის ჯართის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე განთავისუფლებულია დღგს-გან ჩათვლის უფლებით (სსკ მუხლი 172 პუნქტი 4 ქვეპუნქტი „ძ“) ,ასევე განთავისუფლებულია ექსპორტიც.

ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით საქონლის რეალიზაციის საფუძველზე.

6.2 რაც შეეხება სამშენებლო მასალების რეალიზაციას არის ჩვეულებრივად დღგს 18% იანი განაკვეთით დასაბეგრი ოპერაცია.

7. ხარჯების აღიარება

7.1 ხარჯები აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით .ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

8. საგადასახადო ვალდებულება

8.1 საგადასახადო ვალდებულება აღირიცხება იმ თანხით რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს გაწეული ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისად. შპს“ ტრეიდი,, დღგ-ს გადამხდელია დაფუძნების დღიდან, შესაბამისად ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გადასახდელ დღგ-ს, კომპანია იხდის დარიცხვის შესაბამისად. ეს ეხება ზემოთ მითითებულ სამშენებლო მასალების ,არმატურის და გლინულის რეალიზაციას,ხოლო შავი ლითონის ჯართის რეალიზაცია განთავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ,დამფუძნებელზე დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციებზე .

9. სავაჭრო ვალდებულება

9.1 აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებას , კალენდარული წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ფულად ერთეულში (ლარი), საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

10. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

10.1 დაქირავებულ პირთა გასამრჯელო - შრომის ანაზღაურება, ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

10.2 შრომის ანაზღაურება წარმოებს შრომის კანონთა კოდექსის და საწარმოს მიერ დამტკიცებული საშტატო განაკვეთის შესაბამისად.

10.3 შვებულების დღეთა რაოდენობა განისაზღვრება 24 სამუშაო დღით, ხოლო საშუალო დღიური ხელფასი - 30 კალენდარული დღის გათვალისწინებით.

11. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

11.1 საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან.

დირექტორი:

გიორგი დევდარიანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		
	2019	2020	2021
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები სულ</i>	1141594	2617280	6298373
ფულადი სახსრები	84188	15218.73	874407.8
დებიტორული დავალინება მოთხოვნიდან და მიწოდებიდან	426070	1753830.68	2446989.81
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული თანხები	553281	778849.31	2440610.91
სასაქონლო მატერიალური მარაგები	36142	68863	14406.78
სხვა მიმდინარე აქტივები	41913	518.42	521957.43
<i>გრძელვადიანი აქტივები სულ</i>	0	0	0
ძირითადი საშუალებები	0	0	0
არამატერიალური აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1141594	2617280.39	6298372.73
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები . სულ</i>	801110	1914110.19	2314763
ვალდებულებები წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	404759	845505	455196.58
მოკლევადიანი სესხები	38400	1044592	0
საგადასახადო ვალდებულებები	12351	5260.32	18710.04
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	18752.86	1840856
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>	0	0	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება		0	0
სულ კაპიტალი	340484	703170.2	3983610.11
საწესდებო კაპიტალი	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	340484	703170.2	3983610.11
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1141594	2617280.39	6298372.73

დირექტორი:

გიორგი დევდარიანი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2020	2021
ამონაგები	33367114	82744100
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-32260434	-68485299
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	1106680	14258801
მიწოდების ხარჯები	-266420.21	-5779739,31
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-172847	-4300482
საპროცენტო ხარჯი	-46281	-56157
სულ საოპერაციო ხარჯები	-485548	-10136378,31
საგადასახადო ჯარიმები	0	0
სულ არასაოპერაციო ხარჯი	-68	-554427
სულ საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯი	-485616	-10690805,31
საოპერაციო მოგება	621064	3737052
სხვა არას. შემოსავალი	0	169055,52
განაწილებული დივიდენდი	-219621	-388120
მოგების გადასახადის ხარჯი	-38757	-68492
საანგარიშო პერიოდის მოგება	582307	3668560
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	340484	703170.2
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	703170.2	3983610

დირექტორი:

გიორგი დევდარიანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ერთეული 1 GEL

ფული და ფულის ექვივალენტები		
	2020	2021
ნაღდი ფული სალაროში	0	0
ეროვნული ვალუტა ბანკში	15218,73	66412,3
უცხოური ვალუტა ბანკში	0	807995,5
სულ	15218,73	874407,8

ერთეული 1GEL

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
	2020	2021
სავაჭრო მოთხოვნები -ნეტო	1753831	2446989,81
გადახდილი ავანსები	778849.31	2440611.18
სულ	2532680.31	4887600.99

ერთეული 1GEL

სასაქონლო მატერიალური მარაგები		
	2020	2021
მობილური ბეტონის კვანძი	0	14406,78
შავი ლითონის ჯართი	68863	0
სულ	68863	14406,78

ერთეული 1 GEL

სხვა მოკლევადიანი აქტივები		
	2020	2021
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	516628.3
წინასწარ გადახდილი გადასახადი	518.42	5329,13
	518.42	521957,43

დირექტორი:

გიორგი დევდარიანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ერთეული 1 GEL

სასესხო ვალდებულებები		
	2020	2021
საბანკო სესხი	396000	0
სესხი დამფუძნებლისგან	648592	0
	1044592	0

ერთეული 1 GEL

მოკლევადიანი ვალდებულებები		
	2020	2021
სავაჭრო ვალდებულებები	845505	455197
მიღებული ავანსები	1575.13	1840856
ვალდებ.საწარ.პერსონ .წინაშე	17177.86	0
	864258	2296053

ერთეული 1 GEL

საგადასახადო ვალდებულებები		
	2020	2021
გადასახდელი დღგ	2048,56	0
გადასახდელი მოგების გადასახადი	3211.76	18710,04
	5260.32	18710,04

დირექტორი:

გიორგი დევდარიანი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ერთეული 1 GEL

ამონაგები		
	2020	2021
ჯართის ადგილობრივი რეალიზაციიდან	31620106.35	42831165,94
ჯართის ექსპორტზე რეალიზაციიდან	1375861.36	39640687,54
სამშენებლო მასალების ადგილობრივი რეალიზაციიდან	371145.92	272246,93
	33367113.61	82744100.41

ერთეული 1 GEL

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		
	2020	2021
იურიდიული მომსახურება	0	2250
მიწოდების ხარჯი	266420,12	5779739.31
საბანკო საკომისიო	2396	16646.34
კრედიტის ათვისების საკომისიო	1200	800
დაზღვევა	2688,25	32847,47
საპროცენტო ხარჯი	46281	56157,12
ექსპორტის მოსაკრებელი	166564	4247937,76
სულ	485548,37	10136378

ერთეული 1 GEL

არასაოპერაციო ხარჯი	2020	2021
ზარალი კურს.შორის სხვაობი	68	554427,44
სულ	68	554427,44

დირექტორი:

გიორგი დევდარიანი

ერთეული 1 GEL

სხვა შემოსავალი	2020	2021
გადაფასებით მიღებული არასაოპერაციო შემოსავლი	0	169055,52
სულ	0	169055,52

დირექტორი :

გიორგი დევდარიანი